**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
**ბრძანება №01-02/244**

ქ. ბათუმი 19 ოქტომბერი, 2022წ.

**ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის არჩევნების გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, 25-ე მუხლის, 31-ე მუხლის, 32-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 13-14 ნოემბერს ჩატარებული არჩევნების შედეგად ახალარჩეული წევრების უფლებამოსილების ცნობის თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 21 ნოემბრის №01 გადაწყვეტილებისა და ,,**2022 წლის ნოემბერში ბსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად ასარჩევი საბჭოს წევრი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ**“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 19 ოქტომბრის N01-02/243 ბრძანების საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. გამოცხადდეს **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის არჩევნები 2022 წლის 14 ნოემბრიდან** 4 წლის ვადით უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ბსუ-ს ფაკულტეტებიდან და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებიდან შემდეგი რაოდენობის წარმომადგენლების (**სულ 26 წევრი,** მათ შორის **14** აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი და 11 სტუდენტი) ასარჩევად:

**ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან** - 2 აკადემიური თანამდებობის პირი და 2 სტუდენტი;

**ბ) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან** - 2 აკადემიური თანამდებობის პირი და 2 სტუდენტი;

**გ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტიდან** - 2 აკადემიური თანამდებობის პირი და 2 სტუდენტი;

**დ) ტექნოლოგიური ფაკულტეტიდან** - 1 აკადემიური თანამდებობის პირი და 1 სტუდენტი;

**ე) ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტიდან** - 2 აკადემიური თანამდებობის პირი და 1 სტუდენტი;

**ვ) ტურიზმის ფაკულტეტიდან** - 1 აკადემიური თანამდებობის პირი და 1 სტუდენტი;

**ზ) იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან** - 1 აკადემიური თანამდებობის პირი და 2 სტუდენტი;

**კ) თითოეული დამოუკიდებელი კვლევითი ერთეულიდან** (ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი; ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი და

აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი) - **სამეცნიერო პერსონალის ერთი წარმომადგენელი.**

2. წარმომადგენლობით საბჭოში ფაკულტეტებიდან, როგორც აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი, შესაძლებელია არჩეული იქნეს ამავე ფაკულტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ-პროფესორი, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებიდან - ამ ერთეულის სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი.

3. **წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნები ჩატარდეს:**

ა) ბსუ-ს ფაკულტეტებზე - 2022 წლის **1 ნოემბერს** (კენჭისყრა დაიწყოს 10:00 საათზე და დამთავრდეს 17:00 საათზე);

ბ) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებში - **2022 წლის 2 ნოემბერს** (კენჭისყრა დაიწყოს 10:00 საათზე და დამთავრდეს 17:00 საათზე).

4. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატებმა საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ №35, ოთახი N13) **2022 წლის 21 ოქტომბრიდან – 2022 წლის 27 ოქტომბრის ჩათვლით,** უქმე დღეების გარდა, 10:00 საათიდან 16:00 საათამდე უნდა წარადგინონ:

ა) განცხადება;

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა ბსუ-ში დაკავებული თანამდებობის შესახებ (უნდა წარმოადგინოს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელმა);

დ) ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შესახებ ცნობა (უნდა წარმოადგინოს ბსუ-ს სტუდენტმა).

5. ბსუ-ს საარჩევნო კომისიას ეთხოვოს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებისათვის ბსუ-ს წესდებით და რექტორის ბრძანებით დამტკიცებული საარჩევნო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

6. ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებსა და ინსტიტუტის დირექტორებს დაევალოთ არჩევნებისთვის შესაბამისი ოთახების განსაზღვრა და **2022 წლის 28 ოქტომბრის** ჩათვლით ამომრჩეველთა სიების წარდგენა ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში.

7. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ფაკულტეტების და ინსტიტუტების საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.

8. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, ინსტიტუტებს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს და საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიას.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

**რექტორი, პროფესორი** **მ. ხალვაში**